

შემუშავებულია: 27.06.2020 № 41
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დამტკიცებულია: 29.06.2020 № 12

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი

მუხლი 1. გამოყენების სფერო.

1. „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“ (შემდეგში „წესი“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონისა და საქართველოს „შრომის კოდექსის“ შესაბამისად და ადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვალიფიციური კადრების სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს.
2. წესი ვრცელდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ მასწავლებელზე.

მუხლი 2. მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის საშტატო ერთეულზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების ან კონკურსის წესით;
2. ზეპირი გასაუბრების წესით მოწვეული მასწავლებლის საშტატო ერთეულზე მოწვეული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია უმაღლესი აკადემიური განათლება ან/და IV / V დონესთან გათანაბრებული პროფესიული განათლება ან/და შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. კონკურსის შემთხვევაში მასწავლებლის საკვალიფიკაციო და სხვა დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება შესაბამისი აქტით;
2. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით, რომლის მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შექმნილ/განახლებულ პედაგოგიური პერსონალის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან. მხედველობაში მიიღება პირის სამუშაო გამოცდილება.
3. მოწვევა ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 3. მასწავლებლის შრომის პირობები და შრომის ანაზღაურება

1. მასწავლებლის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
2. საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებელი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოდულის შესაბამის საკონტაქტო საათის ოდენობით.
3. საკონტაქტო საათის ღირებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით ინდივიდუალურად მხარეთა შორის მოლაპარაკებების საფუძველზე და შეადგენს არანაკლებ 8 და არაუმეტეს 50 ლარს.
4. მოწვეული მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები და პირობები განსაზღვრულია და თან ერთვის შრომით ხელშეკრულებას (ნიმუში №1-ხელშეკრულების ფორმა)

მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.



შრომითი ხელშეკრულება №
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და
პროფესიული განათლების მასწავლებელს ან/და პროფესიული პროგრამის
ხელმძღვანელს შორის
 (საათობრივი და მოქრითი ანაზღაურების წესით)

ქ. ზუგდიდი

„___“ „_____“ 20__წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა

1.1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას № ქ. 14), წარმოდგენილი რექტორის თეონა ხუფენიას სახით (შემდგომში - „დამსაქმებელი“) და მოქალაქე _____ პირადი № _____, მისამართი : _____ (შემდგომში - „დასაქმებული“), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის განსაზღვრული სამუშაოს შესრულების შესახებ ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. მხარეები მოქმედებენ საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ საქართველოს შრომის კოდექსის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, „შინაგანაწესისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმების“, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული განათლების მარეგულირებელი და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

1.3. მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებული პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლა/სწავლებას ახორციელებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

1.4. ხელშეკრულების საგანია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა.

1.5. ხელშეკრულება ძალაშია:

ა) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულური/დუალური/ინტეგრირებული) საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვევა 20___ წლის _____, მისი მოქმედების ვადაა 20___ წლის _____ ჩათვლით.

ბ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულური/დუალური/ ინტეგრირებული) პროგრამის ხელმძღვანელად მოწვევა 20___ წლის _____ დან, მისი მოქმედების ვადაა _____ წლის _____ ჩათვლით.

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი**2.1. დამსაქმებელს უფლება აქვს :**

2.1.1. მოსთხოვოს დასაქმებულს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებისა“ და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული განათლების მარეგულირებელი სხვა წესების შესრულება რომელიც ეხება უშუალოდ მის საქმიანობას.

2.1.2. დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს .

2.1.3. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაავალოს დასაქმებულს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. (განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა შეადგენს კვირაში 40 საათს) .

2.1.4. მიველინოს დასაქმებული სამუშაოს შესასრულებლად ძირითადი სამუშაო ადგილისაგან განსხვავებულ ადგილზე .

2.1.5. კანონმდებლობისა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“ დადგენილ ფარგლებში წახალისოს დასაქმებული და მის მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.2.1. შეუქმნას დასაქმებულს შრომის ნორმალური პირობები დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესასრულებლად.

2.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება.

2.2.3. მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

2.2.4. შექმნას სათანადო პირობები პროფესიული განვითარებისათვის.

2.2.5. უზრუნველყოს დასაქმებულის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები.

3.1. დასაქმებულის უფლებები

3.1.1. მოითხოვოს სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობების შექმნა.

3.1.2. განახორციელოს სწავლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

3.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და მიიღოს შრომის ანაზღაურება.

3.1.3. ისარგებლოს შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში, გამოიყენოს უქმე დღე და დასვენების დღეები, აგრეთვე ყოველწლიური ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, შვებულებით ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შეილად აყვანის გამო წინამდებარე ხელშეკრულების და შრომის კოდექსის შესაბამისად.

3.2. დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები:

3.2.1. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, „შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული განათლების მარეგულირებელი წესებით, დამსაქმებლის ადმინისტრაციული აქტები, ხელშეკრულების დანართითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები .

3.2.2 დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის პრესტიჟი და „ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული ნორმები.

3.2.3. პროფესიულ სტუდენტებს მისცეს სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითი;

3.2.4. უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ხარისხიანი სწავლება და შეფასება პროფესიული პროგრამის მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად.

3.2.5. მოახდინოს სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე ანგარიშგება/ ინფორმაციის გაცემა;

3.2.6. ითანამშრომლოს დაინტერესებულ მხარეებთან სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის ფარგლებში;

3.2.7. დაიცვას პროფესიულ სტუდენტებთან და სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.2.8. პროფესიული ან ინსტიტუციური პრივილეგიები არ გამოიყენოს პირადი მიზნებისათვის;

3.2.9. იზრუნოს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

3.2.10. გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებას, მიზანმიმართულად გამოიყენოს მატერიალური და სასწავლო რესურსები;

3.2.11. პირადად და სრულად აგოს პასუხი ნებისმიერი დანაკარგის/ზიანისთვის, რომელიც მიადგება დამსაქმებელს, მისთვის მინდობილი ქონების არამიზნობრივად ან დაუდევრად გამოყენების ან/და არასათანადო ქცევის შედეგად.

3.2.12. პირადად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო (იხილეთ,

ა) „პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები“-დანართი №1,

ბ) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები“-დანართი №2)

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

4.1. დამსაქმებელი დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს (ხელშეკრულების საგნის) შესრულებისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გადაუხდის ხელფასს თვეში:

ა) მოჭრითი ხელფასით ;

ბ) ჩატარებული საათების რაოდენობის მიხედვით (საათობრივი ანაზღაურების წესით);

4.2. დასაქმებულისათვის ხელფასის, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის ხელფასზე დანამატის, პრემიების ან სხვა სახის ფულადი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება სათანადო ადმინისტრაციული აქტით.

4.3. შრომის ანაზღაურება შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის რეგულირდება სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით ინდივიდუალურად.

4.4. „დასაქმებული“ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში :

ა) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულური/დუალური) ჩატარებს --- საკონტაქტო საათს, თითოეული საათის ღირებულება ----- (-----) ლარი.

ბ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური/დუალური) ხელმძღვანელობისთვის „დამსაქმებელი“ გადაუხდის მოჭრით ხელფასს თვეში ----- (-----) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია.

5.1. დამსაქმებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

5.2. დასაქმებულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

5.3. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა.

5.4. ხანგრძლივი შრომისუუნარობა.

5.5. პროტექციის გზით პროფესიული სტუდენტის გამოცდის (შეფასების) შედეგზე ზემოქმედება /პროტექციის შემთხვევის დაფარვა.

5.6. მოდულის შინაარსიდან არსებითი გადახვევა.

5.7.გამორჩენის მიზნით პროფესიული სტუდენტისათვის დამატებით მომსახურების გაწევა, მათ შორის კერძო მეცადინეობები არასამუშაო საათებში.

5.8.პროფესიული ეთიკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა.

5.9.მხარეთა წერილობითი შეთანხმება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

5.10.შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

5.11.დასაქმებულის მიერ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“, მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესებით/დებულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა.

5.12.დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში „შრომის კოდექსით“ ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომის გამოყენება.

5.13.საქართველოს „შრომის კოდექსით“/„სამოქალაქო კოდექსითა“ და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 6. დავების გადაწყვეტა

6.1.სადაო საკითხები მხარეთა შორის მოგვარდება შეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლო წესით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება დამსაქმებელთან, ერთი – დასაქმებულთან.

7.2.ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1.ხელშეკრულების დანართი №1 და დანართი №2 წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და დასაქმებულზე მოქმედებს ინდივიდუალურად (მოწვეულ მასწავლებელზე/დარგის სპეციალისტზე დანართი №1, პროგრამის ხელმძღვანელზე დანართი 2, თუ დასაქმებული მასწავლებელიცაა და პროგრამის ხელმძღვანელი ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ორივე დანართი).

8.2.„დასაქმებული“ თანახმაა, რომ მისი პირადი მონაცემები (ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი) „დამსაქმებლის“ მხრიდან სასწავლო მიზნებისათვის იქნეს გასაჯაროებული:

„დიახ“

„არა“

მხარეთა რეკვიზიტები:

„დამსაქმებული“
(სახელი, გვარი)

„დასაქმებული“
(სახელი, გვარი)

პირადი №

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

მისამართი:

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14.

ტელეფონი:

ტელეფონი:

პროფესიული განათლების მასწავლებლების ფუნქცია-მოვალეობები

1. გაეცნოს სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ მისიას, წესდებას, ეთიკის ნორმებს და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული განათლებასთან და მოდულების განხორციელების შემთხვევაში იმოქმედოს შესაბამისად.
2. იყოს პუნქტუალური, არ დააგვიანოს, არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს ლექციები. საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში წარმოადგინოს წერილობითი განცხადება გაცდენილი საათების აღდგენის თარიღის და დროის მითითებით, რომელიც შეთანხმებული იქნება პროფესიულ სტუდენტებთან და სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან(პროფესიული);
3. აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვა შესაბამის პორტფოლიოში;
4. ეფექტურად გამოიყენოს პედაგოგიური საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად;
5. მიიღოს მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტში გარე და შიდა სტრუქტურული ერთეულების მიერ პროფესიული პროგრამების განხორციელების მიმართულებით (მათ შორის სტუდენტის შეფასება, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, მტკიცებულებების მოპოვება, ვერიფიკაცია და ა.შ.) უზრუნველყოფილ ტრენინგებში სწავლებისათვის აუცილებელი კომპეტენციების შეძენის ან/და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
6. საჭიროების შემთხვევაში დააყენოს პროფესიული სტუდენტის ქცევისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის, ნახალისებისა ან/და სხვა (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხი.
7. მიიღოს მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებულ შიდა და გარე კვლევებში (გამოკითხვებში);
8. ეფექტურად ითანამშრომლოს პროგრამის ხელმძღვანელთან და დროულად მიაწოდოს მის მიერ მოთხოვნილი ყველა სახის ინფორმაცია რომელის პროფესიული სტუდენტის სწავლებასთანაა დაკავშირებული;
9. მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეადგინოს კალენდარული გეგმა და გაუზიაროს პროგრამის ხელმძღვანელს/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
10. პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/მოდულების შედეგის/შედეგების დადასტურებამდე არაუგვიანეს 10 დღისა შეადგინოს შეფასების ინსტრუმენტები და ვალიდურობის დადგენის მიზნით შეათანხმოს დარგის სპეციალისტთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან;
11. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა;

- ა) სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში/ვერიფიკაციაში;
 - ბ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციაში;
 - გ) ლექციების დასწრების გზით პედაგოგიური პერსონალის შეფასებაში;
12. პროფესიულ სტუდენტებს დროულად (არაუგვიანეს მოდულით გათვალისწინებული შედეგის შეფასებამდე 3 დღით ადრე) მიაწოდოს ინფორმაცია შეფასების თაობაზე;
 13. პროფესიულ სტუდენტებს დროულად (არაუგვიანეს მოდულით გათვალისწინებული შედეგის შეფასებიდან 3 დღეში) მიაწოდოს ინფორმაცია შეფასების შედეგების თაობაზე;
 14. მოდულების განხორციელების მიზნით მოახდინოს შესაძენი/დახარჯული მასალა-ნედლეულის დროული იდენტიფიცირება და ინფორმაციის მიწოდება პროგრამის ხელმძღვანელისთვის.
 15. ჩაატაროს პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათები და საჭიროების მიხედვით პროფესიულ სტუდენტს გაუწიოს კონსულტაცია (ინდივიდუალური მუშაობა).
 16. სწავლების პროცესში აწარმოოს პორტფოლიო, რომელშიც მოთავსებულია მოდული, კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო მასალა და სტუდენტთა განმავითარებელი შეფასებები.
 17. მონაწილეობა მიიღოს სასწავლო მიზნით განხორციელებულ აქტივობებში (ტრენინგები/კონფერენციები/გამოფენები/მასტერკლასები და ა.შ.);
 18. იქონიოს ეფექტური თანამშრომლობა (უკუკავშირი) პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/პროფესიული პროგრამების განყოფილებასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
 19. მონაწილეობა მიიღოს შეფასებების (კმაყოფილების კვლევა, თვითშეფასება, პროგრამის/მოდულის შეფასება) განხორციელებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები

1. მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და თანდართული დოკუმენტების შემუშავებაში/მოწაადებაში სავტორიზაციოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის მიზნით.
2. ორგანიზება გაუწიოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრას;
3. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან ერთად ჩაატაროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია ახალი მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის/განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის;
4. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან ერთად პროფესიულ სტუდენტებს გააცნოს სწავლების სპეციფიკა და თავისებურებები, სასწავლო სივრცე და ცხრილი;
5. გამოყოს კონსულტაციებისათვის დრო მოდულის განმახორციელებლებთან/პროფესიულ სტუდენტებთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად პროგრამის განხორციელების ვადის გათვალისწინებით.
6. მიიღოს მონაწილეობა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ან/და პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/პროფესიული პროგრამების განყოფილებასთან ერთად ლექცია-პრაქტიკულზე ან შეფასებაზე დასწრების პროცესში, მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმის, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენების, მტკიცებულებების შერჩევის, შეფასების განხორციელების შიდა მონიტორინგის მიზნით;
7. განახორციელოს პროგრამის ფარგლებში მოდულების განმახორციელებელი პირების კონსულტაცია კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების დროული შემუშავების მიზნით;
8. მიიღოს შეფასების სისტემის (შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების) ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა.
9. იქონიოს პროგრამების ფარგლებში მოდულების განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაცია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის უნდა ფლობდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა ან/და წარმატებების შესახებ ინფორმაციას.
10. პროფესიულ სტუდენტს ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ან/და სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის შეასრულოს შუამავლის როლი (ინფორმაციის გავრცელება, საჭიროებათა კვლევა ან სხვა.) საჭიროების შემთხვევაში;

11. პროფესიული სტუდენტების ლექციებზე დასწრების ადრეცხვის ჟურნალის (პორტფოლიოს) ანალიზის საფუძველზე მიიღოს გაცდენების მიზეზების იდენტიფიცირებაში მონაწილეობა;
12. მოდულების განხორციელების მიზნით მოახდინოს შესაბენი/დახარჯული მასალა-ნედლეულის დროული იდენტიფიცირება და ინფორმაციის მიწოდება პროფესიული განათლების განვითარების სამსახურისთვის/პროფესიული პროგრამების განყოფილებისთვის.
13. პროგრამის განხორციელების ყოველი ეტაპის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში შეფასების უწყისების ანალიზის საფუძველზე მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს;
14. პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს კომუნიკაცია პარტნიორი ორგანიზაციების პასუხისმგებელ პირებთან, მოახდინოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება პრაქტიკის შესახებ და გაუწიოს მონიტორინგი პრაქტიკის პროცესს.
15. იქონიოს ეფექტური თანამშრომლობა (უკუკავშირი) პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/პროფესიული პროგრამების განყოფილებასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
16. მონაწილეობა მიიღოს შეფასებების (თვითშეფასების კითხვარები) განხორციელებაში.
17. საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განხორციელების გაუმჯობესების შესახებ.
18. იყოს ანგარიშვალდებული პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის/ პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსის წინაშე.